

## *შპს ბათუმის მომავლის სკოლა*

### *სამოქმედო გეგმა*

2020. 25.08

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების რეკომენდაციებს( № 01-227/ო;2020 წლის 29 მაისი )და ასევე, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სკოლებისათვის მიცემული ზოგადი რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბათუმის მომავლის სკოლამ შეიმუშავა საგანგებო სიტუაციაში, პანდემიის პირობებში, სწავლის დაწყების და სკოლის დასუფთავება- ჰიგიენის წესების დაცვის სამოქმედო გეგმა.

დამტკიცებულია

(ბრძანება N 01-03/25; 25.08.2020 წ.)

და განხილულია საგანგებო თათბირზე.(N1 ;25.08.2020წ)

სკოლის დამფუძნებელი/ დირექტორი:

/ცირა ქასრაძე/

## ზოგადი დებულება

1.სკოლაში დამსაქმებლების, დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი(მოსწავლეები ;მშობლები და ა. შ) სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მოხდეს ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება .ზოგადი რეკომენდაციებისა და კონკრეტული საქმიანობისათვის შემუშავებული სექტორული რეკომენდაციების შესაბამისად.

2. სკოლაში დამსაქმებლების, დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი(მოსწავლეები ;მშობლები და ა. შ) სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ზოგადი რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა ყველა სექტორისათვის, რომლის სამუშაო სივრცეში არის სულ მცირე ერთი დასაქმებული ან/და ერთი სხვა/მესამე პირი.

3. სკოლაში ვირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შემუშავება უნდა განხორციელდეს იმ საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საგანმანათლებლო დაწესებულებაში მყოფ პირებს. ამისათვის კი:

ა)არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე სკოლის ხელმძღვანელმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს საფრთხის კონტროლს და აღმოფხვრას.

ბ) სამუშაო ადგილებზე კონტროლი უნდა განხორციელდეს სისტემატურად, რათა მოხდეს საფრთხის აღმოფხვრა, ხოლო შეუძლებლობის შემთხვევაში მისი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა.პირველ რიგში კონტროლის ღონისძიებები (მაგ. - დამცავი ბარიერები და ა.შ);შემდეგ ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები (ინსტრუქციები, ტრენინგი, სადებიზინფექციო საშუალებების უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავება);ბოლოს განხორციელდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ნიღბები, სათვალეები, ხელთათმანები, კომბინიზონი).

გ)კონტროლისათვის ინფორმაციის მოწოდებას ინფექციაზე საექვო დასაქმებულების მიმართ, რომ სახლში დარჩნენ;

დ)საჭიროების შერმთხვევაში,დამსაქმებლებს, დასაქმებულებს და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირებს შორის კონტაქტის მინიმუმამდე შემცირებას, ალტერნატიული დღეების შემოღებას , რათა შემცირდეს დაწესებულებაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობა;

ე) დაწესებულების ყველა წევრისათვის , ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩატარებას ვირუსის გავრცელების რისკებისა და პრევენციული საკონტროლო ღონისძიებების შესახებ (მაგ. ხველების ეტიკეტი, ხელის დაბანის ეტიკეტი, პირადი დაცვის აღჭურვილობის მოვლა და ა.შ.) და მათთვის გასაგებ ენაზე

ხელმისაწვდომობას; ასევე, ტრენინგები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე.

ვ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დასაქმებულის აღჭურვაზე, მისი სამუშაოს სპეციფიკასა და დასაქმებულის საჭიროებებთან შესაბამისობის შემოწმებაზე პასუხისმგებელია სკოლის ხელმძღვანელი.

4. ხელმძღვანელის მიერ უნდა შეფასდეს დასაქმებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნის გამო დაინფიცირების რისკის დონე და იმ შემთხვევაში თუ ინფექციური დაავადების გავრცელების ინდიკატორად მიჩნეულ იქნება საზღვარგარეთ მოგზაურობის ისტორია, დასაქმებულები არ უნდა გამოცხადდნენ სამუშაო ადგილას თუ:

ა) მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო ორი კვირის განმავლობაში;  
ბ) მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ ვირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით).

5. ხელმძღვანელმა უნდა მისცეს შესაძლებლობა დასაქმებულებს არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილას თუ:

ა) აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გამწვანება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

ბ) მიეკუთვნებიან ვირუსული ინფექციის გართულებების მაღალი რისკის მქონეებს (ასაკი, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) (მოსწავლეები, მშობლები და ა. შ.)

პასუხისმგებლობა ზემოთხსენებული დებულების შესრულებაზე ეკისრება სკოლის დამფუძნებელ/ დირექტორს.

## **პრევენციული- საორგანიზაციო საკითხები.**

### **ჰიგიენური წესები**

ბათუმის მომავლის სკოლამ, პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ დაწყებისა და წარმართვისათვის, გაითვალისწინა რა რეკომენდაციები, შეიმუშავა საკუთარი ხედვა :

- ✓ სასწავლო პროცესი დაიწყება 2020 წლის 15 სექტემბერს.
- ✓ სასწავლო პროცესი წარიმართება ორ ცვლაში. პირველის ცვლა -I-IV კლასებისათვის; მეორე ცვლა- V-XII კლასებისათვის, შესაბამისი დღის რეჟიმით.
- ✓ სკოლის დირექციის მიერ შემუშავებულია საგაკვეთილო ცხრილის 3 პროექტი (საჭიროების შემთხვევაში): სწავლება დღის პირველ და მეორე ნახევარში; შერეული /ჰიბრიდული სწავლება; დისტანციური სწავლება.

- ✓ პრევენციული -საორგანიზაციო საკითხების შესრულება -  
მონიტორინგზე პასუხისმგებელია-სკოლის დირექტორი და ტექნიკური  
მენენჯერი.
- ✓ სწავლის დაწყებამდე ,შემუშავებული რეკომენდაციები გაეცნოს სკოლის  
მოსწავლეებს ;მასწავლებლებს; მშობლებს და გადანაწილდეს  
ფუნქციები.  
=რეკომენდაციები და ჰიგიენური წესები :
  - თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს განცხადებები COVID-19-ის  
პრევენციული ღონისძიებების შესახებ .
- დაწესებულების შესასვლელთან განთავსდეს დეზობარიერი, სავალდებულო  
გამოყენების ნიშნის მითითებით;
- შესასვლელთან განახორციელდეს თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ, როგორც  
მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი  
წარმომადგენლების, თანამშრომელთა და სკოლაში მომსვლელი ნებისმიერი  
ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით;
- თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ  
გადამოწმების მიზნით, სკოლის ექთნის/ექიმის მიერ, ტემპერატურის გადამოწმება  
თერმომეტრით , სამედიცინო ოთახში, ხოლო, ტემპერატურის დადასტურების  
შემთხვევაში, საიზოლაციო ოთახის გამოყენება.

## *საიზოლაციო ოთახი*

საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ  
პირობებს:

- ა) ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია;
- ბ) აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით  
(სკამი/სავარძელი/ტახტი);
- გ) ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი  
საპონი.
- დ) ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი  
წესით.
- ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი  
ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განთავსდება დაწესებულების  
შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი,  
ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო და სხვ.), თითო  
სართულზე 1 ცალი (სასურველია დერეფნის შესასვლელებში).
  - სკოლაში სანიტარულ კვანძებთან უზრუნველყოფილია ხელის დაბანის  
ჰიგიენის გამართული სისტემა(მაგ: ხელების დაბანა წყლითა და საპნით  
უპირატესია);
  - ყველა შესაბამის სივრცეში გამოიკრას ხელის ჰიგიენის წესების ამსახველი  
თვალსაჩინოებები;

## სკოლის შენობაში შესვლა

- ნებისმიერი პირი სკოლის შენობაში შედის პირბადით (გარდა მოსწავლეებისათვის), დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ;
- უზრუნველყოფილი იქნას მასწავლებლის/თანამშრომლების/მოსწავლეების/სხვა პირების ხელის ჰიგიენის გამართული საშუალებებით მომარაგება: ხელსაბანი ნიჟარა წყლით; ხელის ჰიგიენის; თხევადი საპნით და ხელის გასამშრალე საშუალებებით (სასურველია ერთჯერადი ხელსახოცები).
- უზრუნველყავით დაწესებულებაში პირბადეების რეზერვის არსებობა;

## სასწავლო ოთახები და ფართები:

- სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღიჭურვოს ერთჯერადი ხელსახოცებისა და ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით, ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით. ნარჩენების პარკი ამოიღება ერთჯერადი ხელთათმანებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნარჩენების დროული გატანა

## სკოლის სივრცეში გადაადგილება.

### კონკრეტული ღონისძიებები.

- სკოლის შენობის შესასვლელი გამოიყენეთ თერმოსკრინინგის ჩასატარებლად;
- სკოლის შენობაში შესვლა მასწავლებლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის დასაშვებია მხოლოდ პირბადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - დამცავი ფარი/დამცავი სათვალეები, ბახილები, ხალათები;
- პასუხისმგებელი პირი, თერმოსკრინინგის ჩატარებაზე არის უსაფრთხოების ოფიცერი და მისი თანაშემწე, ამ პირებს უნდა ეკეთოდ პირბადე და იცავდნენ 1 მეტრიან დისტანციას;
- თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი მიმართავს სამედიცინო დარგის წარმომადგენელს(ექიმი/ექთანი) და უკვე ხდება ტემპერატურის გადამოწმება ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში მოსაცდელ სივრცეში;
- ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- სიცხის გადამოწმების შემდეგ 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
  - ა) ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
  - ბ) მოსწავლის შემთხვევაში, ვარგებთ პირბადეს და ვათავსებთ წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში,

მომზადებულ საიზოლაციო ოთახში,

გ) დაუყოვნებლივ უკავშირდებით მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია, დროულად გაიყვანოს მოსწავლე სკოლიდან;

დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად,

- საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;
- დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში
- დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, გადავამოწმოთ ტემპერატურა და ვიმოქმედოთ შესაბამისი რეკომენდაციით.
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში;
- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;
- სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;
- სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება 1ჯრ-ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად.

## სასწავლო პროცესის ორგანიზება

- წინასწარ განისაზღვროს სკოლაში დასაქმებულთა: მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და ცვლაში მისაღები მოსწავლეების რაოდენობა ისე, რომ, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში უზრუნველყოთ არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა.
- წლის დასაწყისში, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გაიწეროს და დამტკიცდეს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სამუშაო გრაფიკი.
- საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ შემუშავდეს ცვლებში სწავლებისა და მუშაობის რეჟიმი.
- ყოველი ცვლის შემდგომ გამოყენებული იქნას სანიტარული შესვენება (განიავება, დასუფთავება სველი წესით - ნატრიუმის ჰიპოქლორიტით (0,1 %-იანი ხსნარით) დამუშავება) არანაკლებ ნახევარი საათისა;

- მასწავლებლის მიერ გამოყენებული ჟურნალი - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი - ინფექციის გადატანის მაღალი რისკის მატარებელია, შესაბამისად, სკოლა ეცდება მისი გამოყენება ჩანაცვლდეს აღრიცხვის ელექტრონული ფორმით. მანამდე კი, ჟურნალით ყოველი სარგებლობის წინ და შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელების სანიტაიზერით სავალდებულო წესით დამუშავება;
- დასვენებებზე ერთდროულად დიდი რაოდენობით მოსწავლეების თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით, სკოლა ინდივიდუალურად ადგენს სწავლის დაწყების დროებს 9სთ.- 9 .15 წთ ; 14სთ -14. 15 წთ. სკოლას შედგენილი აქვს დღის რეჟიმის პროექტი, რომელიც შეთანხმდება კათედრებთან და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.
- მაქსიმალურად იქნება შეზღუდული ვიზიტორთა რაოდენობა სკოლის შენობაში. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ყველა ვიზიტორი აღირიცხება ვიზიტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი), ვიზიტის დანიშნულების, შემოსვლისა და გასვლის დროის დაფიქსირებით;
- მშობლებთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაციის უპირატესობა მიენიჭება დისტანციურ შეხვედრებს.

## **დისტანცია -საგაკვეთილო პროცესში დახურულ და ღია სივრცეებში**

- საკლასო ოთახში, მაგიდების/მერხების განლაგება მიზანშეწონილია მოხდეს შემდეგი პრინციპით:
- მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 1 მეტრისა;
- საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი ვალდებულია ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.

### **სკოლის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი:**

- სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო დაა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში;
- გაკვეთილებს შორის შესვენებების დროს გაიმიჯნოს სხვადასხვა სართულის მოსწავლეები, მათი ფიზიკურად გამიჯვნისათვის და სასწავლო პროცესის უკეთ უსაფრთხოდ ორგანიზებისათვის, სკოლაში იქნება 2 ცვლა , I-IV კლასები-პირველი ცვლა; V-XII -მეორე ცვლა. სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის დაიგეგმოს დიდი დასვენება სხვადასხვა დროს.(მაგ: დაწყებით საფეხურზე I-II კლასები დიდი დასვენება დაიწყება 10.30 წუთზე, ხოლო III-IV კლასებში 11.20.ასევე, წინასწარ გაიწეროს სხვა საფეხურის მოსწავლეების შესვენების დრო.). შესვენების ხანგრძლივობა არის 5 წუთი. დიდი დასვენება 15 წუთი.
- მოხდეს სკოლის ეზოში გაკვეთილების ორგანიზება, შესაბამისი დისტანციის დაცვით;
- ერთი და იმავე ოთახში მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას, დაცული უნდა იყოს 30 წუთიანი შუალედი, განიავდეს საკლასო ოთახი, მაგიდები და საერთო გამოყენების ზედაპირები უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით;
- ყოველი შესვენების დროს სავალდებულოა საკლასო ოთახის განიავება;

- გაკვეთილის ჩასატარებლად ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში შესვლისას ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა;
- უზრუნველყოთ დაწესებულების ნაკადის (რიგები სასადილოში, შესასვლელში, სველ წერტილებთან, სპორტულ დარბაზში, , ექიმის კაბინეტში და სხვ.) კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა ნაკლებ 1მ);
- სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება მწელია, ამოღებული უნდა იქნეს ხმარებიდან, მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები. მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ჯგუფში მრვალჯერადად გამოსაყენებელი ნივთების ხმარებისგან, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს, რომ ხელები დაიბანონ ან დაიმუშაონ მათ გამოყენებამდე და შემდგომ.
- ხელოვნების გაკვეთილებზე სასწავლო რესურსის გამოყენების შემდეგ, მოხდეს ამ ნივთების სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია.

**რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით:**

- განხორციელდეს ყველა იმ ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს სსსმ მოსწავლესა და მასთან მომუშავე სპეციალისტს (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა);
- რესურსოთახში, ინტეგრირებულ კლასსა და ასევე, საჭიროების შესაბამისად, საკლასო ოთახში, გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს პირბადე, თუ სამუშაო მოითხოვს 1 მ-ზე ახლოს მიახლოებას, ამასთან, ხელებით კონტაქტის საჭიროებისას კი გამოიყენოს ერთჯერადი ხელთათმანი;
- სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტმა უნდა დაიცავას ჰიგიენის წესები, ასევე დისტანციის დაცვა და დაეხმაროს მოსწავლეს.
- 

### **მოსწავლის ვალდებულებები**

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- დაიცავით სასწავლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესები;
- დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით ან ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
- დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას;
- სწავლების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად
- შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;\_\_

**მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები:**



- ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვით მოსწავლე სკოლაში;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანეთ მოსწავლე სკოლიდან და უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად;
- სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინეთ კლასის დამრიგებელს;
- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად.

### ***თანამშრომლობის რგოლი: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი:***

- უზრუნველყოთ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ხელის ჰიგიენის საკითხებზე. იქონიეთ უწყვეტი საინფორმაციო კომუნიკაცია ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის შეხსენების შესახებ COVID-19 ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად
- მივაწოდოთ ინფორმაცია მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და მოსწავლეებს SARS-COV2 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ (თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ხელის ჰიგიენის, პირბადის ტარების, ხველის ეტიკეტისა და სხვა შემახსენებლები);
- შეხვედრები მასწავლებლებთან, მშობლებთან წარმართეთ მაქსიმალურად დისტანციური სერვისების გამოყენებით.
- 

### ***სანიტარული კვანძის დასუფთავების ინსტრუქციები***

სანიტარიულ კვანძში სისუფთავის დაცვისათვის, აუცილებელია:

- სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ გარეცხეთ და გააშრეთ;
- დამლაგებლის აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
- ხელთათმანები;
- სახის ფარი;
- წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ დაექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას)/ ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
- დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებლად დაიბანეთ ხელები;
- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და

- სადეზინფექციო საშუალებები შენახული იქნას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ ოთახში/საცავი, კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, არ იყოს ხელმისაწვდომი პირებისთვის; უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცავის ვენტილაციის შესაძლებლობა.

### **დიასახლისები და მომსახურე ტექნიკური თანამშრომლები:**

- უზრუნველყავით სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება ყოველი დასვენების შემდეგ;
- უზრუნველყავით სახელურების, მოაჯირების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარიული დამუშავება (არაუმეტეს 3 საათიანი ინტერვალებით);
- მომდევნო ცვლის დაწყებამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებული უნდა იქნას ერთსაათიანი შესვენება სასწავლო ოთახების და სკოლების საერთო სარგებლობის ფართების სანიტარიული დასუფთავებისა და განთავსებისთვის;
- ყოველი სასწავლო დღის შემდეგ, დამუშავდეს სასწავლო, საერთო გამოყენების სივრცე სველი წესით, შესაბამისი რეკომენდაციით

### **სადეზინფექციო საშუალებების შენახვა:**

#### **ტექნიკური მენეჯერი**

სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის ტექნიკური მენეჯერი:

- სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში ბუნებრივი ვენტილაციით.
- სადეზინფექციო საშუალებების მარაგები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მხოლოდ ტექნიკური მენეჯერისათვის.

### **სკოლის სამედიცინო პერსონალი:**

ითვალისწინებს ყველა რეკომენდაციას და იღებს მონაწილეობას:

- სკოლის დღის რეჟიმის შედგენა;
- ზედამხედველობა მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე;
- მუშაობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის;
- ზედამხედველობა სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და დაწესებულებაში დასუფთავებასა და ჰიგიენური რეჟიმის უზრუნველყოფაზე;
- მონაწილეობა ჰიგიენური განათლების პროგრამებში, ჰიგიენური უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშემწყობ აქტივობებში.

### **პირველადი სამედიცინო დახმარება და სამედიცინო პერსონალის მოვალეობა**

- სკოლის სამედიცინო კაბინეტში უნდა იყოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობა და მედიკამენტები. გადაუდებელი შემთხვევის დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ბრიგადის გამოძახებისა და მშობლების ინფორმირების უზრუნველყოფა სკოლის დირექციის მოვალეობაა. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე სკოლის სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.
- კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირველი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი.
- სკოლაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები .
- მოსწავლეთა თერმოსკრინინგის აღრიცხვის კონტროლი.
- მოსწავლეების გაცდენის მიზეზის გაგება და აღნუსხვა.
- მონიტორინგი იგიენური-სანიტარული ნორმების დაცვაზე.

### ***სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა:***

o თითოეულ მოსწავლეს მიეცით საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარების რეკომენდაცია;

o უზრუნველყოთ დღის განმავლობაში მოსწავლის მიერ ბოთლის ხარისხიანი სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა ონკანიდან, ჭიდან, სასმელი წყლის ავზიდან, დისპენსერიდან;

o წყლის ბოთლი გარეცხეთ დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ.

### ***არაფორმალური მომსახურება და კვების ობიექტები:***

სკოლის ბუფეტის/სასადილოს ფუნქციონირება შესაძლებელია, თუ ის აკმაყოფილებს საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის ზოგადი რეკომენდაციების მოთხოვნებს;

- ბუფეტის/სასადილოს ფუნქციონირება იქნება შესაძლებელი, თუ დავიცავთ მოსწავლეთა რიგში დგომის დროს უსაფრთხო დისტანციას.
- საკვების შესაძენად მოსწავლეთა გადაადგილების მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, მიზანშეწონილია კვების შესვენების ორგანიზება შესაბამისი ინტერვალით.
- საკვების მიღების წინ აუცილებელია ხელების დაბანა წყლით და საპნით .
- მაგიდებს შორის უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
- ერთ მაგიდასთან მსხდომებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია;
- ერთ მაგიდასთან მოვათავსეთ არა უმეტეს 6 მოსწავლისა.გამონაკლისია, 12 წლამდე მოზარდები.
- დახურული სივრცეები უზრუნველყავით ბუნებრივი ვენტილაციით.
- ბუფეტის/სასადილოს შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს გამართული ხელსაბანები.

### ***ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პროცედურები:***

- სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ზონაში:

- ჭურჭელი მექანიკურად უნდა გათავისუფლდეს საჭმლის ნარჩენებისგან;
- გაირეცხოს არანაკლებ  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;
- გაირეცხოს ხელმეორედ არანაკლებ  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხი საშუალების გამოყენებით მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;
- გაივლოს არანაკლებ  $65^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
- დაიწრიტოს და გაშრეს საწრეტზე;
- ჭიქები და ბოკალები ირეცხება არანაკლებ  $45-50^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის ცხელი წყლითა და სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- სარეცხ განყოფილებებში კედელზე უნდა გაიკრას ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

### **დასუფთავება და დეზინფექცია:**

- დასუფთავებისთვის დააწესეთ პერიოდული 2 საათიანი რეჟიმი;
- დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საგნებს, რომლებსაც ხშირად ეხებიან ხელით, როგორიცაა: სახელურები, ჩამრთველები, კარის ღილაკები და ა.შ.;
- ნებისმიერი დასუფთავების საშუალება (მაგ. იატაკის საწმენდი ტილო), რომელიც დამზადებულია მატერიისგან, გამოყენების შემდეგ გარეცხეთ სადეზინფექციო საშუალებებით;
  - არაფეროვან საწმენდ მასალებს გაუკეთეთ დეზინფექცია 0.5% ნატრიუმ ჰიპოქლორიტის ხსნარით ან სხვა ქლორის შემცველი ხსნარით, კანონმდებლობის შესაბამისად;

### **რეკომენდაციები-სკოლის სატრანსპორტო საშუალებები**

- სატრანსპორტო საშუალებებში არ დაუშვათ მოსწავლე ნიღბის გარეშე;
- უსაფრთხო დისტანციის დასაცავად აკონტროლეთ მოსწავლეების ნაკადი;
- გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით);
- აკრძალულია მიკროავტობუსებში მოსწავლეების ფეხზე დგომა;
- მუდმივად განიავდეს სამგზავრო სალონი ღია ფანჯრებით;
- მოსწავლის ყოველი წაყვანის დრომდე და შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია
- ინფექციის რისკის შემცირების მიზნით, უზრუნველყავით მომხმარებელთა ინფორმირებულობა კორონავირუსის გავრცელების პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ (შესაძლებელია აუდიო/ვიდეოტექნიკის გამოყენება).
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადაადგდეთ ამისათვის გამოყოფილ სათანადო ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

## **რეკომენდაციები- სპორტის გაკვეთილები**

- გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა რეკომენდაცია ჰიგიენური წესების დაცვის თაობაზე.
- სპორტის ოთახის შესასვლელთან განთავსდეს დეზობარიერი
- სპორტული ინვენტარის გამოყენების შემდეგ ,დამუშავება სადეზინფექციო წესით.
- აუცილებელია ხელის მუდმივი დამუშავება
- ოთახი უნდა იყოს ბუნებრივი ვენტილაციით.
- სახეობის არჩევის შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული შემდეგი დისტანცია, სპორტის სახეობების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება კონტაქტური და არა კონტაქტური ფორმას, ესენია:

| კონტაქტური<br>(დისტანცია 2 მეტრზე ნაკლები) |                                   | არაკონტაქტური<br>(დისტანცია 2 მეტრზე მეტი) |                                       |
|--------------------------------------------|-----------------------------------|--------------------------------------------|---------------------------------------|
| 1                                          | ძიუდო                             | 1                                          | კანოე                                 |
| 2                                          | ჭიდაობა                           | 2                                          | მშვილდოსნობა                          |
| 3                                          | სამბო                             | 3                                          | საავტომობილო                          |
| 4                                          | კრივი                             | 4                                          | ძალოსნობა                             |
| 5                                          | კარატე                            | 5                                          | ტანვარჯიში                            |
| 6                                          | კონტაქტური კარატე                 | 6                                          | ჩოგბურთი                              |
| 7                                          | მკლავჭიდი                         | 7                                          | ჭადრაკი                               |
| 8                                          | ფეხბურთი                          | 8                                          | ფარიკაობა                             |
| 9                                          | რაგბი                             | 9                                          | მეკლდეურობა                           |
| 10                                         | კალათბურთი                        | 10                                         | ფიგურული ციგურაობა<br>(ინდივიდუალური) |
| 11                                         | ნიჩბოსნობა                        | 11                                         | სროლა                                 |
| 12                                         | ტაეკვონდო                         | 12                                         | საცხენოსნო                            |
| 13                                         | ფიგურული ციგურაობა<br>(წყვილებში) | 13                                         | მაგიდის ჩოგბურთი                      |
| 14                                         | საწყლოსნო სპორტი                  | 14                                         | ველოსპორტი                            |
| 15                                         | ხელბურთი                          | 15                                         | მოტოსპორტი                            |
| 16                                         | ფრენბურთი                         | 16                                         | ათლეტიზმი                             |
| 17                                         | უშუ                               | 17                                         | სათხილამურო                           |
| 18                                         | სუმო                              | 18                                         | მძლეოსნობა                            |
| 19                                         | კიკბოქსინგი                       |                                            |                                       |

## ზოგადი რეკომენდაციები-ბიბლიოთეკისთვის

### სამკითხველო დარბაზი:

- უზრუნველვყოთ მოსწავლეთა/მასწავლებელთა, ვიზიტორთა განთავსება მაგიდებთან წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე,იმდაგვარად,რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ.) გამოვიყენოთ ადგილების მარკირება;
- დაუშვებელია ჯგუფური მუშაობის პრინციპი;
- ბიბლიოთეკის პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელურები,კიბის მოაჯირები და სხვა) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით არანაკლებ 3-ჯერ დღეში;
- უზრუნველყოს კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დაამუშაოს სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;
- ბიბლიოთეკის შესასვლელში უზრუნველვყოთ ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხსნარისა და გამოყენების წესების განთავსება (დარბაზის დროებით დაროვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);
- სკოლის ბიბლიოთეკარმა კონტროლი უნდა გაუწიოს რეკომენდაციების დაცვას სამკითხველო დარბაზში.

### საცავი და სპეციალური ფონდები:

- საბიბლიოთეკო დოკუმენტები (წიგნები,ჟურნალები,გაზეთები, და ა.შ) გაცემამდე ითვლება ე.წ. „პირობითად სუფთა წიგნებად“. დოკუმენტები,რომლებიც მომხმარებლისგან/მკითხველისგან ბრუნდება ითვლება „პირობითად ინფიცირებულ წიგნებად“.

- გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტები განათავსეთ კარანტინში 3-5 დღის განმავლობაში.
- საკარანტიკე დოკუმენტების განსათავსებლად გამოყავით სპეციალური მაგიდები ან თაროები.

### სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა ვალდებულებები:

- დავიცვათ ჰიგიენის წესები;
- სამუშაო პროცესი განვახორციელოთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისალმებისას არ ჩამოვართვათ ხელი ერთმანეთს და მოვერიდოთ სხვებთან კონტაქტს(შეხებას და სხვა);
- მოვერიდოთ თავშეყრას, დავიცვათ რეკომენდაცია უსაფრთხო დისცანციის დაცვის (არანაკლებ 2მ) შესახებ;
- გამოვიყენოთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალება იმ შემთხვევაში , თუ ვერ ვახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გვახსოვდეს, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველებისა და დაცემინების დროს მივიფაროთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი.გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადავადგოთ ურნაში;
- მოვერიდოთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. საგაკვეთილო და სამუშაო პროცესში უზრუნველვყოთ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

**ჯანმრთელობას გისურვებთ !**